30
ოქტომბერი

ოთხშაბათი,
1963 წ.
215 (2320)
გამოცემის მე-20 წელი
ფასი 3 კაპ.

გაიხსნა სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XIII ყრილობა

28 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XIII ყრილობამ.

დილის 10 საათია. დაახლოებით ოთხი ათასი დელეგატი შეიკრიბა ვეებერთელა დარბაზში. აქვე არიან სტუმრები — მოსკოვის ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების მშრომელები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები, ყრილობაზე ჩამოვიდნენ მსოფლიოს 80 ქვეყნის დელეგატები და მეთვალყურენი.

მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც მთავრობის ლოჟაში შემოვიდნენ.

ყრილობა გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა. ირჩევენ პროფკავშირთა XIII ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

დელეგატებმა ერთხმად დაამტკიცეს ყრილობის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

დელეგატები და სტუმრები მხურვალე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას პროფკავშირთა XIII ყრილობისადმი, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა.

საანგარიშო მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა ამოცანების შესახებ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

* * *

კიდევ სამი მონაწილე

ჰოლანდიის ქალაქ ენსხედში დამთავრდა ევროპის პირველი ზონის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მასში მონაწილეობდა 16 ქვეყნის 17 მოჭადრაკე. ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია იუგოსლაველმა გროსმაისტერმა ს. გლიგორიჩმა. მან დაუმარცხებლად დაიკავა პირველი ადგილი. მას 0,5 ქულით ჩამორჩნენ და მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს კ. დარგამ (გფრ) და ლ. ლენდიელმა (უნგრეთი). სამივე მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს საზონათშორისო ტურნირში, რომელიც 1964 წელს გაიმართება.

ფიდე-ს გადაწყვეტილებით საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 24 მოჭადრაკე. ათი მათგანი უკვე ცნობილია: გროსმაისტერები მ. ტალი, ლ. პორტიში (უნგრეთი), ბ. ლარსენი (დანია), რ. ფიშერი, ა. ბისჰაიერი, ს. რეშევსკი (სამივე აშშ), საერთაშორისო ოსტატი ა. იანოვსკი (კანადა) და ზემოდასახელებული ენსხედის ტურნირში გამარჯვებული სამეული.



მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს რ. აბაშიძეს (მარჯვნივ) და ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს დ. გვანცელაძეს ჭიდაობის გარდა უყვართ თევზაობა. სურათზე თქვენ ხედავთ „ჭიუტ“ მეთევზეებს . თბილისის ზღვაზე.

საკდესის ფოტოქრონიკა.

რეკორდები, რეკორდები...

კიევში დამთავრდა „ავანგარდის“ საოლქო საბჭოს პირველობა ძალოსნობაში. კონკურსგარეშე გამოდიოდა არმიელი სპორტსმენი ვ. შიშოვი (საშუალო წონა). მან აჰკრა 181 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. არც „ავანგარდის“ ძალოსნები დარჩნენ ვალში. ქვემძიმე წონის ძალოსანმა გ. ტროიცკიმ 0,5 კილოგრამით „დაამძიმა“ როსტოველ ვ. ლიახის საკავშირო რეკორდი, აჰიმა რა 161,5 კილოგრამი.

სვერდლოვსკში „ბურევესტნიკის“ ძალოსანთა შეჯიბრებაზე მესამე საკავშირო რეკორდი დაამყარა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონმა უმძიმეს წონაში ვ. სმეტანინმა, რომელიც ამ შეჯიბრებაზე კონკურსგარეშე გამოდიოდა. მან აჰკრა 121,5 კილოგრამი და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში დაამყარა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

მშენებლები — სპორტსმენებს

— რა არის ახალი ჩვენს ქვეყანაში სპორტული მშენებლობის დარგში? —**ახალი ამბების სააგენტოს** კორესპონდენტმა ასეთი კითხვით მიმართა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მთავარ ინჟინერს ალექსანდრე გოლუბინსკის.

— უკანასკნელ წლებში, — თქვა გოლუბინსკიმ, — სსრ კავშირის მთელ რიგ დიდ ქალაქში აგებულ იქნა თანამედროვე სპორტული კომპლექსები. მოსკოვში მწყობრში ჩადგა შესანიშნავი კომპლექსი — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ფეხბურთის სარბიელით, სპორტის სასახლით, საწყლოსნო აუზით, ზამთრის მანეჟით და მრავალრიცხოვანი მოედნებით. მწყობრში ჩადგა აგრეთვე ცსკა-ს სპორტული ბაზა ზამთრის საცურაო აუზით, ტანვარჯიშული მანეჟით, სპორტის სასახლით, ფეხბურთისა და ჰოკეის მინდვრებით, ფიგურული სრიალის მოედნებით, აგრეთვე „დინამოს“ ბაზა, წყალჯომარდობის სასახლე და სხვ.

ჩინებული ბაზა აქვთ ამჟამად ლენინგრადელ სპორტსმენებს. ქალაქის უდიდესი სტადიონი, რომელიც ს. მ. კიროვის სახელს ატარებს, 100 ათას მაყურებელს იტევს. კიევში შეიქმნა სპორტული კომპლექსი, რომელიც არც თუ ჩამოუვარდება მოსკოვის ცენტრალურ სტადიონს. ახალი სტადიონები და სპორტული ბაზები აშენდა ტაშკენტში, თბილისში, კიშინიოვში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ჩვენ არ ვსაჭიროებთ ახალ დიდ სტადიონებს, სპორტულ სარბიელებს. მხოლოდ მოსკოვში შეიქმნება ერთი პირველი კლასის კომპლექსი ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტისათვის. ამისათვის მზადება უკვე დაიწყო. შერჩეულია პროექტი და მომავალი წლიდან მშენებლები შეუდგებიან ძირითად სამუშაოს. ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ახალი ბაზის აშენებლად გამოყენებულ იქნება სამშენებლო ტექნიკის უახლესი მიღწევები, მსუბუქი და ლამაზი მასალები. სტუდენტების განკარგულებაში იქნება რამდენიმე სასწავლო შენობა, შესანიშნავი სტადიონი, ფეხბურთის მოედნები, ტანვარჯიშული და სათამაშო დარბაზებით, საწყლოსნო აუზი, ველოტრეკი, სხვადასხვა მოედნების კომპლექსი აშენდება იზმაილოვის პარკში. ამას გარდა, განზრახულია მრავალრიცხოვანი სპორტული კომპლექსების მოწყობა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და სხვა ქალაქების ახალ საცხოვრებელ მასივებში.

მინდა შევჩერდე ერთ პრობლემაზე, რომელსაც ამჟამად ახორციელებენ ჩვენი მშენებლები. უკანასკნელ ხანებამდე ჩვენს ქვეყანაში ძალზე ცოტა ფაბრიკა იყო, რომლებიც მაღალი ხარისხის სპორტულ ინვენტარს უშვებდა. „ექსტრა“ სპორტული ინვენტარის დიდ ნაწილს ჩვენ სხვადასხვა ქვეყნებში ვიძენდით. ამჟამად მიმდინარეობს სპორტინვენტარის სპეციალიზირებული საწარმოს პროექტზე მუშაობა. ვფიქრობ, რომ უახლოეს წლებში შევძლებთ უზრუნველვყოთ ყველა საჭირო ინვენტარით არა მარტო სსრ კავშირის ნაკრები და ოლიმპიური გუნდების წევრები, არამედ ფიზკულტურელთა ფართო მასები. ზემოთ ჩამოვთვალე მხოლოდ ძირითადი შინაური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე მუშაობენ ჩვენი მშენებლები. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ამბავი, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ მთელი რიგი ქვეყნების სპორტსმენებს. საბჭოთა კავშირის მონაწილეობით აგებულ იქნა, მაგალითად, დიდი თანამედროვე სტადიონი ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში. სტადიონის აშენებაში ამჟამად ჩვენ ვეხმარებით გვინეისა და მალის რესპუბლიკებს. საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც სპორტული მშენებლობის დარგში მუშაობენ, სისტემატურად უზიარებენ გამოცდილებას თავიანთ კოლეგებს სოციალისტური ქვეყნებიდან.

უნგრელები — პირადშიც და გუნდურშიც

კიევში დამთავრდა მეგობრულ არმიათა სპორტსმენების შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობას თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ უნგრელები და ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა. დასკვნით დღეს მძლეოსნურ კროსში საბჭოთა ხუთჭიდელებმა დაამარცხეს უნგრელები. ამის მიუხედავად, უნგრელებმა მაინც მოიპოვეს პირველი ადგილი როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში.

საერთო ჯამში უნგრელებმა დააგროვეს 15.146 ქულა. საბჭოთა ხუთჭიდელები მათ მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩნენ. პირად პირველობაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა, უნგრელმა ფ. ტიოროკმა — 5.193 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა მეგობრულ არმიათა პირველი პირველობის ჩემპიონი, საბჭოთა ხუთჭიდელი ბ. პახომოვი, რომელიც გამარჯვებულს 28 ქულით ჩამორჩა.

ფინალი გრძელდება

რუმინეთში მიმდინარე ევროპის პირველობაზე ფრენბურთში ბრძოლა თანდათან მწვავდება. ფავორიტებს უჭირთ მოპოვებული პოზიციების შენარჩუნება. იშვიათად, რომ ბრძოლა სამ პარტიაში დასრულდეს.

რუმინელებთან წაგების შემდეგ საბჭოთა ფრენბურთელები ბულგარელ სპორტსმენებს შეხვდნენ. ორსაათიანი დაძაბული ბრძოლა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 3:2 (6:15, 15:4, 4:15, 15:2, 15:7). კვლავ გაგვახარეს ქალებმა. ამჯერად მათ მოუგეს უნგრელებს და საკმაოდ ადვილად — 3:0 (15:11, 15:8, 15:2).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ქალები — ბულგარეთი-ჩეხოსლოვაკია — 3:2, გდრ-უნგრეთი — 3:0. ვაჟები — პოლონეთი-ჩეხოსლოვაკია — 3:2.

უნდა შევავსოთ წიგნის თაროები სპორტული ლიტერატურით!

ჩვენი გეგმები

მიმდინარე წელს გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტს" უსრულდება 40 წელი. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა გამომცემლობის დირექტორს ნ. ტოროპოვს.

— **„ფიზკულტურა ი სპორტი" ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი გამომცემლობაა, რომელიც უშვებს სპორტულ ლიტერატურას. გვიამბეთ თუ შეიძლება გამომცემლობის ისტორიის შესახებ.**

— 1923 წლის ოქტომბერში მოსკოვში ილნიკის (ამჟამად კუიბიშევის) ქუჩაზე მდებარე სამსართულიანი სახლი დაიკავა ახლადშექმნილმა სააქციონერო საზოგადოებამ ერთობ არაჩვეულებრივი სახელწოდებით — „ფიზკულტურა ი სპორტი". მისი დამაარსებელნი იყვნენ ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო, პროლეტარული ტურიზმის საზოგადოება, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი და კომკავშირი. აქედან იწყება ჩვენი გამომცემლობის ისტორია.

— **რაზე მუშაობს ამჟამად გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი"?**

— 1963 წელს გამომცემლობამ უკვე გამოუშვა 40 დასახელების წიგნი, საერთო ტირაჟით 6 მილიონი ეგზემპლარი. თუ კი წინათ, ე. ი. 1963 წლამდე ჩვენი გამომცემლობა ძირითადად უშვებდა სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს ინსტიტუტების, ტექნიკუმებისა და სკოლებისათვის, აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტებისათვის, ახლა ჩვენ გამოვცემთ პოპულარულ მასობრივ ლიტერატურას, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეს.

საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის გამომცემლობა უშვებს სპეციალურ ბიბლიოთეკას — „სპორტი — ბავშვებს". ამ წიგნებში შესულია ნარკვევები და მოთხრობები, რომლებიც მდიდრულადაა დასურათებული.

წიგნების სერია („ტანვარჯიში ყველასათვის", „ყველაზე პატარებისათვის", „სამიდან შვიდამდე", „მოსწავლის დილის ტანვარჯიში", „ყოველდღიური ტანვარჯიში ქალებისათვის", „ყოველდღიური ტანვარჯიში მამაკაცებისათვის" და „ტანვარჯიში საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებისათვის") იძლევა ყველა ასაკის ადამიანებისათვის გამაჯანსაღებელი, ჰიგიენური ტანვარჯიშის მეთოდურ მითითებებს და ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსებს.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოფლის რაიონების ახალგაზრდობას შორის სპორტის პროპაგანდის საქმეს, სადაც ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას ფიზიკური კულტურა, ნაკლებობას განიცდიან გამოცდილი სპეციალისტების მხრივ. „დამწყებთა დასახმარებლად" სერიაში შესული ისეთი წიგნები, როგორიცაა „კოლექტივის [illegible]", „როგორ გავა[illegible]", „[illegible] ვისწავლოთ ცურვა" და სხვა, მკითხველებს აცნობენ შეჯიბრებათა წესებს, წვრთნის საფუძვლებს, სპორტის ტექნიკასა და ტაქტიკას.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა მხატვრული ლიტერატურის გამოცემა.

— **როგორ საავტორო ძალას ეყრდნობა გამომცემლობა?**

ჩვენს გამოცემათა სატიტულო ფურცლებზე თქვენ ნახავთ ცნობილი მწერლების კ. პაუსტოვსკის, ი. ტრიფონოვის, ა. მიხაილოვის, საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსის მ. შოლოხოვის სახელებს. მ. შოლოხოვი არის ალმანახ „სამონადირეო სივრცეების" რედკოლეგიის წევრი. ჩვენთან ხშირად გამოდიან საუკეთესო სპორტული ჟურნალისტები, მაგრამ ჩვენი ავტორების უმრავლესობა სპორტსმენები არიან. გამომცემლობამ გამოუშვა ი. ვლასოვის ნარკვევების კრებული. ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. შატკოვმა დაწერა წიგნი „დიდი რინგი". ისეთი სახელგანთქმული სპორტსმენები, როგორებიც არიან ა. სტაროსტინი, ვ. კუზნეცოვი, რ. ჟუკოვა, ვ. დიაჩკოვი, გ. კორობკოვი, მ. ბოტვინიკი ავტორები არიან წიგნებისა, რომლებიც უკვე გამოსცა ჩვენმა გამომცემლობამ.

ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს. უახლოეს დროში გადაწყვეტილია წიგნების საერთო ტირაჟი ავიყვანოთ 10 მილიონ ეგზემპლარამდე.

შუბის ტყორცნა

წიგნი დაეხმარება მძლეოსნებს

საქართველო ძველთაგანვე განთქმული ყოფილა შუბოსნებით. ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში" მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი იმის აღწერას, თუ როგორი ოსტატობით ფლობდნენ ჩვენი წინაპრები შუბს, როგორც საბრძოლო იარაღს, ხოლო პლუტარქე აღწერს რა რომაელთა ბრძოლას სომხეთის წინააღმდეგ, მიუთითებს, რომ სომხეთის მეფე ტიგრანის მოკავშირეთა შორის მონაწილეობას იბერთა შუბოსანნი იღებდნენ, რომელთაც მათი გულადობის გამო სხვებზე ყველაზე მეტად ენდობოდაო.

საქართველოში შუბოსნობის მაღალ კულტურაზე მიუთითებენ სხვა ისტორიული წყაროებიც, მაგრამ ეს იყო წარსულში. მას შემდეგ კი რაც შუბი, როგორც საბრძოლო იარაღი, ისტორიას ჩაბარდა, საქართველოშიც თანდათან მიეცა დავიწყებას და უფრო გვიანდელ პერიოდში მას ხალხურ დღესასწაულზე თუ მოიგონებდნენ.

შუბის ტყორცნა შეტანილი იყო „პენტატლონის" (ხუთჭიდის) პროგრამაში ძველი წელთაღრიცხვის 708 წელს გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე. ოლიმპიური თამაშების აღორძინების შემდეგ შუბის ტყორცნა, როგორც ცალკე სახეობა, პროგრამაში შეტანილ იქნა 1906 წლის ათენის თამაშებზე და ფაქტიურად მას შემდეგ იწყება მისი ევოლუცია.

შუბის ტყორცნის ტექნიკის პროგრესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ხოლო ომისშემდგომ პერიოდში საქართველოშიც აღიზარდნენ სპორტსმენები, რომლებიც საგრძნობლად მიუახლოვდნენ საერთაშორისო კლასს, ამან კი დღის წესრიგში დააყენა ამ სახეობის მიმდევართა მომარაგება სათანადო ლიტერატურით.

ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით კარგი საქმე გააკეთა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ", რომელმაც გამოსცა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებლის, ჩვენი რესპუბლიკის წამყვან შუბისმტყორცნელთა აღმზრდელის ნ. ლობჟანიძის ნაშრომი „შუბის ტყორცნა".

ნაშრომი აცნობს სატყორცნი იარაღის, ტყორცნისა და მსაჯობის წესებს, მოედნის სქემას, დაწვრილებითაა განხილული იარაღის ხელში დაჭერისა და ტყორცნის ყაიდები. გასაგები ენით მოთხრობილია წვრთნის მეთოდებზე, ძირითად და დამხმარე ვარჯიშებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა იგეგმებოდეს სპორტსმენის ვარჯიშები მოსამზადებელ, წინასაშეჯიბრებო და საშეჯიბრებო პერიოდებში. წიგნი მდიდარია კინოგრამებით, კვირეული, ყოველთვიური წვრთნის ციკლთა ცხრილებითა და სხვ. ნაშრომი მთავრდება სათანრიგო მოთხოვნებით შუბის ტყორცნაში, გვაცნობს მსოფლიოს, ევროპის, საკავშირო და საქართველოს უკანასკნელი რეკორდებისა და მსოფლიო რეკორდების ზრდას.

კიდევ ერთი თანამგზავრი

გამომცემლობა „ნაკადულმა" ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი, ტრადიციულად ქცეული რუბრიკით „გულშემატკივრის თანამგზავრი" გამოსცა გ. გამრეკელის „100 წლის ფეხბურთი". როგორც სათაურიდანაც ჩანს, აღნიშნული წიგნაკი მიძღვნილია მთელს მსოფლიოში უპოპულარესი თამაშის — ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილესადმი, რომელიც ახლახანს აღნიშნა საერთაშორისო სპორტულმა საზოგადოებრიობამ. სათაურიდანვე შეიძლება განვსაზღვროთ ავტორის მიზანდასახულება — განიხილოს ამ სპორტული სახეობის წარმოშობა, მისი განვითარების საკვანძო ეტაპები და მკითხველებს წარმოუდგინოს ამ ეტაპების უძლიერესი „საფეხბურთო სახელმწიფოები".

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს მეორე, წმინდა ტექნიკური გარემოება, რომელიც თავისი მკაცრად შეზღუდული ჩარჩოებით ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ავტორისეული მიზანდასახულების ხორცშესხმაზე: ეს პატარა ფორმატის წიგნი სულ 166 გვერდს შეიცავს, რაც, ცხადია, მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს ობიექტურ საფუძველს ზემოაღნიშნული ამოცანის სრულყოფილად განხორციელებისათვის. ამან განაპირობა წიგნის სქემატურ-მიმოხილვითი ხასიათი. უთუოდ ამ საფუძველზევე წარმოიშვა პატარა შესავალი-განმარტება, რომელიც წინ უძღვის და თავიდანვე მიუთითებს მკითხველს მასში მოთხრობილი ამბების შეზღუდულ „ორიენტირებზე". უმნიშვნელო შემცირებით მოგვყავს ეს შესავალი: „წიგნში მოთავსებულ ნარკვევებში ძირითადად მოთხრობილია მსოფლიოში უძლიერესად მიჩნეულ ეროვნულ ნაკრებ გუნდებსა და გამოჩენილ ფეხბურთელებზე. ავტორი ეხება აგრეთვე ტოკიოს მომავალი ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირს, ფეხბურთის საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე ამბებს. წიგნს არა აქვს ფეხბურთის თანმიმდევრული, თუნდაც მოკლე ისტორიის მოთხრობის პრეტენზია".

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, წიგნში წარმოდგენილია მასალები და ამბები, რომლებიც უთუოდ დააინტერესებს მკითხველს. ამდენად, იგი უდავოდ და მთლიანად ამართლებს რუბრიკას — „გულშემატკივრის თანამგზავრი" და კანონიერად დაიკავებს საპატიო ადგილს იმავე გულშემატკივრის სპორტული ლიტერატურის თაროზე.

წიგნის პირველ თავში მოკლედაა გადმოცემული ფეხბურთის — როგორც სპორტული სახეობის — წარმოშობის ცალკეული ისტორიული ცნობები, მისი ოფიციალური ჩამოყალიბების ამბები და დღევანდელი ორგანიზაციული ფორმები. შემდეგ („ჩვენი საუკუნის რვა „ვუნდერტიმი") ასევე მოკლედაა მოთხრობილი „არა მარტო მსოფლიოს ფორმალურ ჩემპიონებზე, არამედ იმ კოლექტივებზეც, რომელთა ჰეგემონია გარკვეული პერიოდისათვის ეჭვმიუტანელი იყო ფეხბურთის სამყაროში".

გ. გამრეკელი
100
წლის
ფეხბურთი

მომდევნო თავში — „თასის პირველი მფლობელი" — მოთხრობილია ევროპის თასის გათამაშებაზე და თანამედროვე ფეხბურთის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შესანიშნავ გამარჯვებაზე. „ყველა დროის ნაკრებში" დახასიათებულია ფეხბურთის ისტორიის მანძილზე უძლიერესად აღიარებული ცალკეული მოთამაშეები, ხოლო შემდეგ („ტოკიოს „კონტურები") გადმოცემულია ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელთა მზადების, შესარჩევი თამაშების მიმდინარეობის ამბები. დაბოლოს, თავში „ფეხბურთის რუკასთან" გეოგრაფიული ნიშნით მიმოხილულია თანამედროვე ფეხბურთის თვალსაჩინო კერები მთელს მსოფლიოში.

წიგნი ინტერესით იკითხება და ბევრ საგულისხმო ამბებს თავაზობს ფეხბურთის გულშემატკივარს.

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 20 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „ბახუსი მოერია ჭადრაკს", სადაც ნათქვამია, რომ გუდაუთში ჭადრაკს ბევრი მოყვარული ყავს. მათი თაოსნობით საზოგადოებრივ საწყისებზე ქალაქში გაიხსნა ჭადრაკის კლუბი. აქ ხშირად ნახავდით დასასვენებლად ჩამოსულ ოსტატებსაც, მაგრამ „აფხაზკურორტვაჭრობამ" ძალით მიისაკუთრა კლუბი, და იქ ღვინის მაღაზია გახსნა.

როგორც მშრომელთა დეპუტატების გუდაუთის საქალაქო აღმასკომიდან გვატყობინებენ, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ამჟამად ჭადრაკის კლუბისათვის გამოყოფილია შესაფერისი ოთახი.

ენთუზიასტების ხელით

დიდი ხანია, რაც ბორჯომის მოჭადრაკეთა შორის მომწიფდა აზრი საზოგადოებრივ საწყისებზე საჭადრაკო კლუბის დაარსების შესახებ. რუსთაველის სახელობის კულტურის სახლის დირექციამ (დირექტორი ვ. ჩადუნელი) მხარი დაუჭირა აქაური ენთუზიასტების თაოსნობას და გამოჰყო მათთვის ფართობი.

ენთუზიასტებმა თავისი ხელით მოაწყვეს კლუბი. ერთნი შეეცადნენ ეშოვნათ საჭადრაკო ინვენტარი, მეორენი ცდილობდნენ რაც შეიძლება კეთილმოწყობილი და კარგად გაფორმებულიყო შენობა.

კლუბი ჯერ კიდევ გახსნილი არ იყო, როცა ენთუზიასტებმა აირჩიეს სპეციალური საბჭო პირველთანრიგოსანი მოჭადრაკის ექიმ ა. ხარიშჭარიშვილის თავმჯდომარეობით. კლუბის საბჭომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კლუბის კეთილმოწყობის დაჩქარებას.

და აი, ამას წინათ კლუბი გაიხსნა. გავიდა რამდენიმე დღე და მასში გაიმართა პირველი ტურნირი — კლუბის ჩემპიონატი.

საქართველოს ცენტრალურმა საჭადრაკო კლუბმა გადაწყვიტა ბორჯომში მიევლინა ინსტრუქტორ-მეთოდისტი, რათა პრაქტიკული დახმარება გაეწია ახლადჩამოყალიბებული კლუბისათვის. ამ სტრიქონების ავტორმა ბორჯომის კლუბის ისტორიაში პირველად გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 16 დაფაზე. 13 პარტია მან მოიგო, ერთი წააგო, ხოლო 2 ყაიმით დამთავრდა.

ბევრი შრომა და ენერგია ჩააქსოვეს ბორჯომელმა მოჭადრაკეებმა თავიანთი კლუბის დაარსებას, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. იმედი გვაქვს, რომ ბორჯომელ მოჭადრაკეებს მათ კეთილშობილურ საქმიანობაში ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ რაიონის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია.

ა. ბუსლაევი,
საქართველოს ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, სპორტის ოსტატი.

ფეხბურთის მინდვრებზე

„იმედის თასი" გათამაშდა

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე დამთავრდა „იმედის თასის" გათამაშება ფეხბურთში.

პირველად მინდორზე გამოვიდნენ საქართველოსა და ლიტვის გუნდები, რომლებმაც დამატებითი დროის მიუხედავად წინა დღეს თავიანთი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს (1:1). საქართველოს გუნდმა ამჯერად გააზრებულად ჩაატარა თამაში და მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 4:0.

ძალზე საინტერესო გამოდგა გადამწყვეტი მატჩი პირველი ადგილისათვის. უზბეკეთისა და მოლდავეთის გუნდების უაღრესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა უზბეკელთა გამარჯვებით — 1:0, თუმცა საერთო ტერიტორიული უპირატესობა აშკარად მოლდაველთა მხარეს იყო. უზბეკეთის ნაკრებმა მოიპოვა „იმედის თასი".

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჩერქეზიამ მიულოცა გამარჯვებულებს და გადასცა უზბეკეთის კოლექტივს საპატიო თასი. მანვე გადასცა სამახსოვრო პრიზი ტურნირის ყველაზე ტექნიკურ გუნდს — მოლდავეთის ნაკრებს.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის პრიზი გადაეცა გათამაშების საუკეთესო ნახევარმცველს. ეს იყო მოლდავეთის ფეხბურთელი ო. დუშინი.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციამ დააწესა პრიზი საუკეთესო თავდამსხმელისათვის. იგი ერგო საქართველოს გუნდის წევრს მ. ძაგანიას. ანალოგიური პრიზი საუკეთესო მცველისათვის მიიღო უზბეკეთის ფეხბურთელმა გ. ტკაჩენკომ.

საუკეთესო მეკარეს. ეს ჯილდო თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონის სახელით გადაეცა ლიტვის ნაკრების მეკარეს ი. სტანილოვაიტისს.

მეორე ქვეჯგუფში

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ქვეჯგუფის გუნდებს შორის. განვლილ კვირას შედგა მორიგი ტურის მატჩები.

თითო ქულა დაკარგეს ლიდერთა ჯგუფში მყოფმა ვორონეჟის „ტრუდმა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგმა". „ტრუდმა" ფრედ — 1:1 ითამაშა ლვოვში ადგილობრივ „კარპატის" წინააღმდეგ, ხოლო „მეტალურგის" შეხვედრა „ტრაქტორთან", რომელიც ვოლგოგრადში ჩატარდა, დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ოდესის „ჩერნომორეცის" გამარჯვება დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან" — 2:0, აგრეთვე „დაუგავასი" (რიგა) — კრასნოდარის „ყუბანთან" — 2:1. ფრედ დამთავრდა ორი მატჩი: „ლოკომოტივი" გომელი)-„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — 1:1, სკა (ნოვოსიბირსკი)-„ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — 0:0.

საბრძოლო ფერი

რუსთავი. „მეტალურგის" სტადიონი. 28 ოქტომბერი.

„მეტალურგი" (რუსთავი)-„ტრჟინეცი" (ჩეხოსლოვაკია) — 2:2 (1:1).

„ტრჟინეცი": გრიჩი, შალა (ელენეცი), ვლახოვსკი, გოლესკა, ნაზმანი, ზახარი, როკაშინი, ბუიოკი, დუდა, ბაიეროვსკი (პანკოვსკი), კენძიორი.

„მეტალურგი": ადამოვი, გალოიანი, დუდნიკოვი, მალიუტინი, ხვედელიძე, ანთიძე, გეგია, ვართანოვი (ჯანელიძე), ხაბეიშვილი, ქოჩიაშვილი, ჯიბლაძე.

მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

რუსთავის ფეხბურთელთა სტუმრებს — ქალაქ ტრჟინეცის მეტალურგიული ქარხნის გუნდს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ჩამოყალიბდა 1921 წელს და თავისი ქვეყნის პირველობაზე მონაწილეობს „ა" კლასში. 14 გუნდიდან მას წელს უკავია მე-12 ადგილი. ეს გუნდი სსრ კავშირში ჩამოსულია პირველად და უკვე ითამაშა ტამბოვში, სადაც ფრედ დაამთავრა მატჩი ადგილობრივ „სპარტაკთან".

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ბურთის თამაშში შეყვანის უფლება მიეცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცნობილ მექურეს, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრს მ. გიგოლაშვილს.

სტუმართა თამაშში ყურადღებას იპყრობდა ზუსტი, შორი გადაცემები და ფიზიკურად კარგად მომზადებული ფორვარდების დუდასი და კენძიორის აქტიურობა. მატჩის დაწყებიდან სულ ორიოდე წუთი იყო გასული და სწორედ კენძიორმა გაიტანა ბურთი შორი მანძილიდან.

მცირე ხანს შემდეგ დუდა ორჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ მდგომარეობაში, მაგრამ მისი საბოლოო დარტყმები ოდნავ აცდა მიზანს. მასპინძლებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და თამაშში უკვე „ტრჟინეცის" მეკარე ჩაება. მე-17 წუთზე მან დაარღვია წესი თავისი კარის სიახლოვეს, რისთვისაც მსაჯმა სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. იგი ზუსტად გამოიყენა ხაბეიშვილმა — 1 : 1.

შესვენების შემდეგ „მეტალურგმა" სწრაფი შეტევა განავითარა, ბურთი მიიღო ხაბეიშვილმა, ღრმა რეიდით გავიდა მოწინააღმდეგის კართან და ძლიერი დარტყმით გაზარდა ანგარიში თავისი გუნდის სასარგებლოდ — 2 : 1. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩეხების კარი გადარჩა აშკარა გოლს: გეგიას ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს.

58-ე წუთზე სტუმართა ერთ-ერთი იერიში დამთავრდა დუდას მიერ გატანილი გოლით და ეს ანგარიში — 2 : 2 ფიქსირებულ იქნა საბოლოოდ.

მატჩი ჩატარდა მეტად საინტერესოდ, მეგობრულ ვითარებაში.

რ. ბაბრიეიძე

* * *

სურათზე: მომენტი რუსთავისა და „ტრჟინეცის" გუნდების მატჩიდან. მაღალი ბურთისათვის იბრძვიან მეკარე გრიჩი და ქოჩიაშვილი.

ვეტერანთა ტურნირი

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკური თასის გათამაშების შეხვედრა ვეტერან ფეხბურთელთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისისა და ბათუმის გუნდები.

მასპინძლებმა სწრაფი იერიში წამოიწყეს და მალე გახსნეს კიდეც ანგარიში. პირველი გოლის ავტორი იყო გ. ჯავახაძე. მალე ს. ბაზაძემ მეორე ბურთი გაიტანა და გუნდები ამ ანგარიშით წავიდნენ შესვენებაზე.

მეორე ტაიმში მ. გერაძემ კიდევ უფრო წინ გაიყვანა თავისი გუნდი, რასაც მოჰყვა ბათუმელთა კონტრშეტევა და საპასუხო გოლიც—1:3. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე კ. ხურციძემ კიდევ ერთხელ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში და მასპინძლებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 4:1.

ი. ბუხაიძე

ჩოგბურთი

რატომ ვერ გახდნენ ისინი პირველები

ეს მოხდა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე ჩოგბურთში შეჯიბრების უკანასკნელი აკორდის წინ.

გამარჯვებულები გამოვლინებული იყვნენ და მაყურებელთა სმენაში კიდევ ისმოდა ბურთზე ჩოგნის უკანასკნელი დარტყმები. გამარჯვებულთა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა და პრიზიორთა დაჯილდოება მიმდინარეობდა. არ ივიწყებდნენ არც მათ აღმზრდელებს. ყოველ მწვრთნელს, რომელმაც ჩემპიონი ან პრიზიორი აღზარდა, საზეიმოდ აძლევდნენ საპატიო სიგელს და განსაკუთრებულ ნიშანს.

...აი საპატიო კვარცხლბეკისაკენ გაემართა მაღალი, ოდნავ მოხრილი, გაჭაღარავებული ადამიანი — არამ გერასიმეს-ძე ხანგულიანი. არაერთი ათეული წელი იმუშავა სპორტის ამ დაუცხრომელმა ენთუზიასტმა და ჩოგბურთის დიდმა მცოდნემ თბილისის „დინამოში". საკმაოდ ბევრი კარგი ჩოგბურთელი აღზარდა მან. ახლაც ა. ხანგულიანს ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე მჩქეფარე ახალგაზრდობასთან მუშაობის გარეშე. იგი განაგრძობს მწყობრში დგომას და ამზადებს სულ ახალ და ახალ ნიჭიერ ჩოგბურთელებს. მისი საუკეთესო „პროდუქციაა" ა. მეტრეველი და ნ. მძინარიშვილი, რომლებმაც სპარტაკიადაზე 3 ვერცხლის მედალი მოიმკეს. და რა სასიხარულო იყო, როცა ორივე ყმაწვილმა დაჯილდოების მომენტში მიირბინეს არამ გერასიმეს-ძესთან და გადაეხვივნენ მას, უძღვნეს თაიგულები, რომლებიც მათ, როგორც გამარჯვებულებს, ეს-ეს არის მიუტანეს.

მაყურებელთა მქუხარე ტაშის ქვეშ ასევე მოიქცნენ სპარტაკიადის მეორე პრიზიორი ი. ერმოლოვა — მ. კლდიაშვილის მიმართ და სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი თ. ლეიუსი — ე. კრეეს მიმართ.

და არა მარტო ლამაზი, კეთილშობილი საქციელით გაგვახარეს ქართველმა ჩოგბურთელებმა სპორტის ამ სახეობის მოყვარულნი. მათი გამოსვლები სპარტაკიადაზე საერთოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. თუ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩოგბურთელებმა მეხუთე ადგილზე ზევით ვერ აიწიეს, სამაგიეროდ პირად პირველობაში მათი პროგრესი აშკარაა: III სპარტაკიადაზე მათ 9 საპრიზო ადგილი მოიპოვეს მაშინ, როცა 1959 წლის სპარტაკიადაზე მხოლოდ 4 იყო (პირველ სპარტაკიადაზე კი ქართველი ჩოგბურთელები პრიზიორთა შორის არ იყვნენ). როგორც მოსალოდნელი იყო, თავი ისახელეს საქართველოს ნაკრების ლიდერებმა ა. მეტრეველმა, ი. ერმოლოვამ და წყვილთა შეხვედრებში ნ. მძინარიშვილმა. III სპარტაკიადის წინ ამ სტრიქონების ავტორი „ლელოში" წერდა მეტრეველისა და ერმოლოვას შესახებ, რომ მათ „შეუძლიათ პირველები იყვნენ", მაგრამ ორივეს მოსკოვში ოქროს მაგივრად ვერცხლი (რაც არანაკლებ საპატიოა) ხვდათ წილად. რა ფაქტორებმა შეუშალეს ხელი მათ ოქრო მოეპოვებინათ?

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ფაქტორები სხვადასხვა იყო. ა. მეტრეველი ყველა ათ შეხვედრაში ერთეულთა შორის, რომლებიც მან მოსკოვში ითამაშა, 9-ში გამარჯვებული გამოვიდა. ამ შეხვედრებში იგი ავლენდა თანამედროვე ტექნიკის დიდ არსენალს: სიმსუბუქეს, ყველაზე რთული დარტყმების შესრულებაში ძალდაუტანებლობას, ადგილის ამორჩევის სიზუსტეს, სისწრაფეს. ყველაფერი ეს ჭაბუკის თამაშის დადებითი მხარეებია. ისინი იწვევდნენ საყოველთაო სიმპათიას.

ამასთან ერთად მეტრეველის მოქმედება კორტზე სხვა თვისებებითაც ხასიათდებოდა. ყოველი ქულის დაკარგვა ყმაწვილში ღრმა განცდებს იწვევდა, ეკამათებოდა მსაჯებს. ამასთან უნდოდა რა დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, თავს ნება მისცა ბადეზე გადამხტარიყო მოწინააღმდეგის ნახევარზე და მსაჯს უჩვენებდა ადგილს ბურთის ნაკვალევით კორტზე!

თავისი გრძნობების დაუოკებლობა, ზედმეტი ნერვიულობა ცუდ სამსახურს უწევს ნიჭიერ სპორტსმენს. ეს საშუალებას არ აძლევს მეტრეველს მთლიანად თამაშზე გადაიტანოს გულისყური.

სულ სხვანაირად წარიმართა მდგომარეობა ფინალურ შეხვედრაში ძლიერ, აუჩქარებელ და ანგარიშიან თ. ლეიუსთან. რაც უფრო მეტად ნერვიულობდა ა. მეტრეველი, მით უფრო კარგად თამაშობდა ესტონელი ოსტატი, რომელსაც შეუძლია ისე, როგორც არავის, გამოიყენოს მეტოქის უმცირესი ტექნიკური და ამავე დროს ფსიქოლოგიური ჩავარდნა. და სამი პარტია ოთხიდან, ისევე როგორც ოქროს მედალი, ერგო ლეიუსს. იგი თავისუფლად შეეძლო მიეღო მეტრეველსაც.

ნაკლები შანსები ჰქონდა ოქრო მოეპოვებინა ი. ერმოლოვას ფინალურ შეხვედრაში ა. დმიტრიევასთან. აქ საქმე გადაწყვიტა არა მორალურ-ნებელობითმა ფაქტორმა, რომელიც ი. ერმოლოვას ჰარბად აქვს. ძალზე სწრაფი და ძლიერი მოქმედება დმიტრიევასი, რომელიც ხშირად მთავრდებოდა ბადესთან გასვლით და რაც ვაჟთა თამაშის მანერას გვაგონებდა, ერმოლოვამ წინ დაუყენა ტიპიური ქალური თამაში — ერთფეროვანი გრძელი დარტყმები კორტის უკანა ხაზიდან. სპარტაკიადის ტურნირის გადამწყვეტმა შეხვედრამ დაგვანახვა, რომ თუმცა ერმოლოვამ გარკვეული წარმატებანი მოიპოვა უკანასკნელ ხანს, მაგრამ მაინც ვერ შეძლო სათანადოდ დაეძლია მისი ძველი „ავადმყოფობა" — ცალმხრივობა თამაშში, რომელიც ზღუდავს მის პროგრესს.

ამ დღეებში ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა იმსჯელა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის შედეგებზე და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ქალთა ჩოგბურთის თამაშის დონის ამაღლებისათვის. გათვალისწინებულია საჩოგბურთო სექციებსა და სკოლებში ჩამოყალიბდეს მთელი რიგი ახალი ჯგუფები გოგონებისათვის, შეჯიბრებაზე დაშვების დროს უპირატესობა მიენიჭოს ჩოგბურთელ ქალებს, რომლებიც კორტზე აქტიურად, მრავალფეროვნად მოქმედებენ როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შეხვედრებში, დაწესდეს განსაკუთრებული ჯილდოები ჩოგბურთელებისათვის აქტიური და ტექნიკური თამაშისათვის. ქალთა შორის პასიური თამაშის შემთხვევაში შეჯიბრების მთავარ მსაჯებს უფლება აქვთ შემოიღონ „12 დარტყმის" წესი მაგიდის ჩოგბურთში 20 წამის წესის ანალოგიურად, მოეწყოს ამხანაგური შეხვედრები საუკეთესო ქალ ჩოგბურთელებსა და მათი თამაშის დონის შესაფერ ვაჟ ჩოგბურთელებს შორის და სხვ.

ქართველ ჩოგბურთელებს ყველა შესაძლებლობა აქვთ სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის არა მარტო თბილისში, არამედ რაიონებშიც, პირველ რიგში ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში, სადაც უკანასკნელ ხანებში მუშაობა ამ სახეობაში შენელდა. გაორკეცებული ენერგიით უნდა მოვამზადოთ ახალგაზრდა სპორტსმენთა ახალი კადრები —საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის კადრები. მჯერა, რომ საქართველოს ჩოგბურთის ლიდერები შეიგნებენ თავიანთი თამაშის სუსტ მხარეებს, ნაკლოვანებებს აღმოფხვრიან და ოსტატობის დონეს აამაღლებენ. მხოლოდ ამ პირობებში აქვთ მათ დიდი შანსები იყვნენ პირველები.

ვ. კოლეგორსკი,
საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

ვეტერანი

1912 წელს, თბილისში, სამხედრო სასწავლებლის სპორტულ დარბაზში აპორტული ასპარეზობა ტარდებოდა. მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა სამხედრო სასწავლებლის კურსანტმა ტ. კუბლაშვილმა, რომელიც საგანგებო პრიზებით იქნა დაჯილდოებული.

ვინ იყო ეს სპორტსმენი?

ესაა ამჟამად ხანდაზმული, დარბაისელი ადამიანი, თბილისის მკვიდრი — ტარასი სარდიონის ძე კუბლაშვილი. ინტერესმოკლებული არაა შევეხოთ ამ ადამიანის სპორტულ ბიოგრაფიას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ხანად ქართული სპორტის განვითარების ისტორიასთან.

ტარასი კუბლაშვილს ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე იტაცებდა ქართული ჭიდაობა, ჯირითი, ტანვარჯიში, ცურვა და სპორტის სხვა სახეობები. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, 1908 წელს ტ. კუბლაშვილი მოხვდა თბილისის სპორტული საზოგადოების დარბაზში.

სპორტულ საზოგადოებაში ჩარიცხვამ მას დიდი ასპარეზი გაუხსნა. იგი იმდენად დაეუფლა ტანვარჯიშს, რომ მალე გადაყვანილ იქნა ოსტატთა ჯგუფში. ამიერიდან მისი სპორტული მოღვაწეობა შეივსო ორგანიზატორული და აღმზრდელობითი ფუნქციებითაც. მან სპორტულ სარბიელზე გამოსასვლელად დახმარება აღმოუჩინა შემდგომში ისეთ ცნობილ სპორტსმენებს როგორიც იყვნენ: ვ. ციციშვილი, ა. ბაქრაძე, დ. ჯავრიშვილი, მ. აგლაძე, მ. ქურული, თ. ინასარიძე და სხვ.

1910 წელს ტ. კუბლაშვილი შევიდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში მწვრთნელად იყო ანტონ ლუკეში. 1912-1913 წლებში ტ. კუბლაშვილი საუკეთესო გამოსვლებისათვის ოქროს სამკერდე ნიშნებით და საგანგებო პრიზით — ოქროს პორტსიგარით იქნა დაჯილდოებული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1912 წელს კინოეკრანისათვის ტ. კუბლაშვილმა შეასრულა ვარჯიში ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე და ტაიპზე. ამ კინოფირს აჩვენებდნენ არა მარტო სამხედრო სასწავლებელში, არამედ თბილისის, ქუთაისის და რუსეთის რიგი ქალაქების ეკრანებზე.

სპორტის ვეტერანი ტ. კუბლაშვილი დღეს, ხანდაზმულობის ჟამს, გულით ხარობს საბჭოთა საქართველოს სპორტული წარმატებებით. იგი სპორტული ასპარეზობების ხშირი სტუმარია.

ვ. სიდამონიძე

კალათბურთის იუბილე

გაზეთი „დოიჩეს შპორტ-ეხო“ (გდრ) იუწყება, რომ ამ დღეებში სპორტის მოყვარულებს შეეძლებათ აღნიშნონ ევროპის კალათბურთის 70 წლისთავი. პარიზში ახლაც არის შენობა, რომელზეც გაკრულია მემორიალური დაფა: „ამ გიმნაზიაში 1893 წელს (პირველად ევროპაში) ითამაშეს კალათბურთი“. ამერიკაში დაბადებულმა კალათბურთმა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოიარა მთელი მსოფლიო. სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის ცნობით მსოფლიოში კალათბურთს თამაშობს 100 მილიონი კაცი.

როგორც საუკეთესო წლებში

უკვე რამდენიმე წელია ფეხბურთში ესპანეთის პირველობის წინ დადის ხმები იმის შესახებ, რომ მიმდინარე სეზონი უკანასკნელი იქნება დაუბერებელი ცენტრფორვარდის, მადრიდის „რეალის“ მოთამაშის ალფრედო დი სტეფანოს სპორტული კარიერისათვის. ეს თავისებური ტრადიცია არც მიმდინარე წელს დარღვეულა. დი სტეფანოს „დასასვენებლად“ წასვლის ამბავი მაშინ უფრო გაძლიერდა, როცა იგი ორდღიან „ტყვეობაში“ იმყოფებოდა კარაკასში.

„მე ჩემ საყვარელ თამაშს თავს დავანებებ მაშინ, როცა ამას მოინდომებს ღმერთი და ხალხი, — განაცხადა დონ ალფრედომ. —ჯერ კიდევ ისე ვთამაშობ, როგორც საუკეთესო წლებში, ფეხბურთი მიყვარს, როგორც პატარა ბიჭუნას“.

ვილფრიდ დიტრიხი და სხვები

დასავლეთგერმანული სპორტული კავშირი (შპორტბუნდი) იუწყება, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს ჭიდაობაში ვილფრიდ დიტრიხს ყველა პირობა შეექმნება ნორმალური ვარჯიშისათვის. მას უფლება აქვს ყოველ დროს უფასოდ ისარგებლოს კელნის სპორტული დარბაზით. სპარინგ-პარტნიორის სახით მას ეყოლება ევროპის ყოფილი ჩემპიონი ნეტესჰეიმი, ყველაფერი ეს იმიტომ კეთდება, რომ დიტრიხი გფრ-ს მოჭიდავეთა გუნდის ერთად-ერთი იმედია ტოკიოს ოლიმპიადაზე.

რასაკვირველია, დიტრიხს გაუმართლდა. წინათ იგი ყოველი წვრთნისათვის ფულს იხდიდა. ეს არცთუ ისე სასიამოვნო იყო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იგი უბრალო ქვისმთლელია და არა ფაბრიკანტის ვაჟი. რას გააკეთებენ სხვა დასავლეთგერმანელი მოჭიდავეები? მათი საკითხი უკვე გადაწყვეტილია. უნდა ივარჯიშონ საკუთარი სახსრებით. „ჩვენ ყველასათვის ფული არა გვაქვს“, — აცხადებენ შპორტბუნდელი ლიდერები. რაც შეეხება ჭიდაობის ფედერაციას, მას საშუალება არა აქვს წვრთნის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად.

შავი კონტინენტის შვილები

სპორტის ინტერნაციონალური შინაარსი დღეს არავისთვის უცხო არაა, მაგრამ იყო დრო, როცა სპორტს პრივილეგირებულ თეთრკანიანთა საკუთრებად თვლიდნენ. ამ „თეორიის“ მებაირახტრენი ფიქრობდნენ, რომ მაღალი სპორტული შედეგების ჩვენება შეეძლოთ მხოლოდ „კაცობრიობის პროგრესული ნაწილის“ წარმომადგენლებს, მხოლოდ და მხოლოდ თეთრკანიანებს. სწორედ ამ იდეის გამოხატვას წარმოადგენდა რასიული დისკრიმინაცია, რომელმაც რამდენიმე ათეული წლით დასწია უკან სპორტი კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ცხოვრებამ თანდათან ცხადყო ამ ცრუ თეორიის უაზრობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასიული დისკრიმინაციის ამ კლასიკურ ქვეყანაში, ფერადკანიან სპორტსმენებს დევნიდნენ. ეს დევნა იყო უკომპრომისო და დაუნდობელი. მაგრამ როგორც კი დღის წესრიგში დადგებოდა ეროვნული სპორტის პრესტიჟის საკითხი, ამერიკული სპორტის მესვეურები ივიწყებდნენ თავიანთ თეორიებს და საპასუხისმგებლო პოსტებს გუნდებში სწორედ ფერადკანიან სპორტსმენებს ანდობდნენ.

რამდენი გამარჯვება და დიდება მოუტანა უმადურ სამშობლოს გამოჩენილმა ზანგმა მძლეოსანმა ჯ. ოუენსმა. იგი შეერთებული შტატების გარეთ გმირი იყო, შინ კი დევნილი ზანგი, და ეს მაგალითი ბურჟუაზიულ სამყაროში არ არის გამონაკლისი. სწორედ ამიტომ იგი ამჟამადაც მთელი სიმწვავით დგას დღის წესრიგში.

კაცობრიობის პროგრესმა, დემოკრატიული ძალების შეუჩერებელმა წინსვლამ ძირფესვიანად შეცვალა ადამიანთა შორის ურთიერთობის საკითხი როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში, ისე ახლადფეხადგმულ დამოუკიდებელ ქვეყნებშიც, რომლებმაც ეს ეს არის დაამსხვრიეს კოლონიალური მონობის ბორკილები. ამის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია სპორტის განვითარება გაღვიძებულ აფრიკაში.

აფრიკის სპორტსმენებს უკვე აქვთ თავიანთი ისტორია. ისინი კარგად ხედავენ მომავალსაც და სხვებთან ერთად გულდაგულ ემზადებიან მისთვის. რომის ოლიმპიურ თამაშებზე ეთიოპიის სპორტსმენის ბეკილა აბებეს წარმატება აფრიკის სპორტის ისტორიის დასაწყისი იყო, დღეს კი ეს შესანიშნავი სპორტსმენი არ არის მარტო. მას გვერდს უმშვენებს მისივე კონტინენტის ადამიანთა მძლავრი რაზმი.

აი ამ რაზმის ერთ-ერთი წარმომადგენელია სენეგალიელი მძლეოსანი აბდულა სეი **(ზედა ფოტო)**. რომის ოლიმპიურ თამაშებზე მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 200 მეტრზე რბენაში. ადრე ა. სეი საფრანგეთის სპორტულ ღირსებას იცავდა, ამჟამად კი თავისი ქვეყნის, სენეგალის ოლიმპიური იმედია ტოკიოში.

ქვედა სურათზე აღბეჭდილია ა. სეის ერთ-ერთი ნიჭიერი მოწაფე პიერ ვილიამი. მისი საუკეთესო შედეგი სამხტომში ამჟამად 16 მეტრი და 20 სანტიმეტრია. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ საფრანგეთის რეკორდი სპორტის ამ სახეობაში (ა. ვილიამიც ადრე საფრანგეთის სპორტულ ღირსებას იცავდა) 16 მ და 06 სანტიმეტრია.

შავი კონტინენტის კიდევ ერთი საუკეთესო წარმომადგენელია სპრინტერი გაუსო კონე **(ქვედა ფოტო)**. იგი აფრიკის ყველაზე ფეხმარდი ადამიანია. 100 მეტრზე გ. კონე სტაბილურად აჩვენებს 10,2 წამს, ექსტრა-კლასის შედეგს. ახალგაზრდა სპრინტერი ცხოვრობს სპილოს ძვლის ნაპირზე.

ფეხბურთის ქრონიკა

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ბოლო მატჩი შედგა პრაღაში, სადაც ბრატისლავას „სლოვანი“ შეხვდა ფინეთის წარმომადგენელს — „პალოსეურას“. გაიმარჯვეს ჩეხებმა ანგარიშით 3:1.

კენჭისყრის შედეგად ამ პრიზისათვის მებრძოლი გუნდები შემდეგი წესით შეხვდებიან ერთმანეთს მეორე წრეში: „მოტორი“ (გრდ)-მტკ (უნგრეთი), „ტოტენჰემი“ (ინგლისი)-„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „ფენერბახჩე“ (თურქეთი)-„ლიმფილდი“ (ჩდ. ირლანდია), „ბარსელონა“ (ესპანეთი)-„ჰამბურგი“ (გფრ), „სელტიკი“ (შოტლანდია)-„დინამო“ (იუგოსლავია), „სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია)-„ბოროუ“ (უელსი), „სპორტინგი“ (პორტუგალია)-„აპოელი“ (კიპროსი), „ლიონი“ (საფრანგეთი)-„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი).

მეორე წრის თამაშები უნდა დამთავრდეს 15 დეკემბრისათვის.

უხეშობა, უხეშობა...

ჯერ ერთი თვეც არაა, რაც იტალიის ჩემპიონატი მიმდინარეობს და უკვე ბოლო არ უჩანს სკანდალურ ისტორიებს, მაყურებელთა უწესობას და მოთამაშეთა უხეშობას.

იტალიელი „ტიფოზი“ (გულშემატკივარი) ყოველთვის დიდი ექსპანსიურობით გამოირჩეოდა და აქ იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც გუნდს საკუთარი გულშემატკივრების გამო წაგება ეთვლება. გენუაში თამაშობდნენ ადგილობრივი „ჯენოვა“ და სიცილიის კლუბი „კატანია“. მეორე ტაიმში, როდესაც ანგარიში გახდა 2:0 „კატანიის“ სასარგებლოდ, მაყურებლმა „დაბეჯითებით“ მოთხოვეს მსაჯს 11-მეტრიანი საჯარიმოს დანიშვნა. მსაჯმა, რასაკვირველია, არ გააკეთა ეს. ამას „ტიფოზთა“ აღშფოთება და მოედანზე გადმოსვლა მოყვა. პოლიციამ მხოლოდ 30-წუთიანი ბრძოლის შემდეგ მოახერხა მოედნის განთავისუფლება, ამასთან მრავალი კაცი დაშავდა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით და არსებული წესების თანახმად „ჯენოვას“ წაგება ჩაეთვალა.

რედაქტორი ო. უგულავა.

სპორტის სასახლე

31 ოქტომბერი-
1 ნოემბერი

საერთაშორისო შეხვედრა
ხელბურთში
საქართველო-
ჩეხოსლოვაკია

დასაწყისი 20 ს.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 06089